სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

10 მარტი, 2025 წ.

აკადემიური საბჭოს
დადგენილება № 06-01/25

ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტზე ჩატარებული ბსუ-ს აკადემიური პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსის შედეგების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე-8 მუხლის, ,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 12 თებერვლის №07-01/12 გადაწყვეტილების, „ბსუ-ს აკადემიური პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 28 იანვრის №01-02/11 ბრძანების, საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმის (№03, 05.03.2025) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დაადგინა:

1. დამტკიცდეს „ბსუ-ს აკადემიური პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 28 იანვრის №01-02/11 ბრძანებით გამოცხადებული და 2025 წლის 4-5 მარტს ჩატარებული აკადემიური პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსის შედეგები წინამდებარე დადგენილების **№1 დანართის** შესაბამისად.
2. კონკურსში გამარჯვებულ პირებთან წინამდებარე დადგენილების **№1 დანართში** მითითებულ ვადებში გაფორმდეს შრომითი ხელშეკრულებები, ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად, ასევე აფილირების შეთანხმებები, გამარჯვებული კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი ბსუ-სთან აფილირების განცხადების გათვალისწინებით, ,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომის დატვირთვის განსაზღვრისა და ანაზღაურების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 08 სექტემბრის №07-01/42 გადაწყვეტილებისა და ,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 12 თებერვლის №07-01/12 გადაწყვეტილების თანახმად.
3. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველებში: ,,კონკურსები“ და ,,აკადემიური საბჭოს დადგენილებები“).
4. დადგენილება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (მ. ხალვაში), ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, შესაბამის ფაკულტეტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარიას), იურიდიულ დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, კონკურსში გამარჯვებულ პირებს.
5. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი **ტიტე არუშიძე**

„ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტზე ჩატარებული
ბსუ-ს აკადემიური პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსის
შედეგების დამტკიცების შესახებ“

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 10 მარტის
№06-01/25 დადგენილების
დანართი 1.

ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 28 იანვრის №01-02/11 ბრძანების საფუძველზე
გამოცხადებული და 2025 წლის 04-05 მარტს ჩატარებული
ბსუ-ს აკადემიური პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსის შედეგები

ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტზე არჩეული
აკადემიური პერსონალი

№	ფაკულტეტის დარგობრივი დეპარტამენტი	საკონკურსო მიმართულებები	საშტატო ერთეულის დასახელება	გამარჯვებული კონკურსანტი	შრომითი ხელშეკრულების ვადა
1	პედაგოგიურ მეცნიერებათა დარგობრივი დეპარტამენტი	პედაგოგიური მეცნიერებები	ასისტენტ-პროფესორი	მაია ბოლქვაძე	10.03.2025-დან 10.03.2029- მდე
2	ენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი	უცხო ენა (ინგლისური)	ასისტენტ-პროფესორი	თეონა თედორაძე	24.05.2025-დან 24.05.2029- მდე